

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის  
ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

24 თებერვალი, 2022 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი ივანიაძე.

**სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 17 წევრი:**

გიორგი ივანიაძე, ნათია მოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, დავით ხარძეიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, თეონა ადეიშვილი, მარინა ღვინიაძე, ლანა გოგოძე, გელა ჩიკვაძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაძე, ივანე მამფორია, ნატული დვალიშვილი, გვანცა სიგუა, ნატო დვალი.

/დანართი: N1/

**საკვალი მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ:** გოჩა ჭუბაბრია, ბესიკი გველესიანი, გურანდა გვანცელაძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, თამაზი თავაძე, ნანა ლილუაშვილი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების გაცნობის შესახებ;  
მომხს.: გიორგი ივანიაძე
2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
3. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ;
4. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიაძე

თანამომხს: სალომე ფახურიძე

## 5. სხვადასხვა

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოხსენეს:**

გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები წარადგინა, რომელიც საკრებულოს 31.01.2022 წლის ბ65.65220311 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა:

1. გიორგი ივანიაძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით ხარძიეშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;

3. გელა ჩიკვაძე - ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; საბჭოს წევრი;
4. ეთერი ჭიჭინაძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
5. თამარ შენგელია - ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
6. ლანა გოგოძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
7. გიორგი ტყემელაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
8. ნატო დვალი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
9. თეონა ადეიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; საბჭოს წევრი;
10. სალომე ფახურიძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე კატეგორიის პირველი რანგის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში; საბჭოს წევრი;
11. ბესიკი გველესიანი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - აიტი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
12. გოჩა ჭუბაბრია - ვანის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; საბჭოს წევრი;
13. მამუკა ნამიჭეიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
14. ივანე მამფორია - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
15. მიხეილ სვანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
16. ნათია ძომუაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანამემწე გენდერულ საკითხებში; საბჭოს წევრი;

17. ნატული დვალისძვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე; საბჭოს წევრი;
18. მარინა ღვინიაძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და
19. შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი; საბჭოს წევრი;
20. ლელა ჩიკვაძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
21. თამაზი თავაძე - ქალაქ ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
22. ნანა ლილუაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი; საბჭოს წევრი;
23. გვანცა სიგუა - ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი; საბჭოს წევრი;
24. გურანდა გვანცელაძე-კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“-ს წარმომადგენელი; საბჭოს წევრი;

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ბრძანება გამომდინარეობს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებიდან, რომელიც მოიცავს გენდერული საბჭოს ზოგად არსს, საბჭოს ძირითად ამოცანებს, ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, საბჭოს სტრუქტურას, რომლის მოთხოვნათა ზედმიწევნითი დაცვით საკრებულოს ბრძანების საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო დაკომპლექტდა 23 წევრის შემადგენლობით, სადაც სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი და საკრებულოს დეპუტატი 10 კაცი, 13 ქალია;

საბჭოს ხელმძღვანელობას და მუშაობის წესს, რომლის მიხედვითაც საბჭოს სხდომა 3 თვეში ერთხელ მოიწვევა, ხოლო საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფას.

**გადაწყვეტეს:** გენდერული საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება.

/დანართი: დადგენილება N25/

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიძემ განმარტა, რომ „მოგესხენებათ დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით ვანის

მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე დანიშნული ვარ, როგორც ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პირველ სხდომაზე უნდა ავირჩიოთ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი და შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით დაასახელოთ მოადგილის და მდივნის კანდიდატურები. გენდერული საბჭოს წევრებმა დაასახელეს თავმჯდომარის მოადგილედ ნატული დვალიაშვილის კანდიდატურა. დღის წესრიგის მეორე საკითხს უყარეს კენჭი.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე-ნატული დვალიაშვილი.

**3.** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით წარმოედგინათ საბჭოს მდივნის კანდიდატურა, საბჭოს წევრებმა გენდერული საბჭოს მდივნის კანდიდატურად დაასახელეს-სალომე ფახურიძე.

დღის წესრიგის მესამე საკითხს უყარეს კენჭი.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში-სალომე ფახურიძე.

**4.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის პროექტი 2022 წელი“ გააცნო, მომხსენებელმა სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებზე, საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე და აქტივობებზე ისაუბრა და იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე

გააკეთა აქცენტი, რომელიც გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში წამყვან როლს ასრულებს, მან ხაზი გაუსვა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს: გენდერული მგრძობელობის და ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მუნიციპალიტეტის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან, სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას და თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ამ მიზნით გამოცდილ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობას გაუსვა ხაზი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საბჭოს საქმიანობის ეფექტურად წარმართვის და შედეგზე ორიენტირებულობის მიზნით გამოიყო 5000 ლარი, რაც ხელს შეუწყობს გენდერული საჭიროებების განხორციელებას და ამით ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა მუნიციპალიტეტის მხრიდან. სამოქმედო გეგმის პროექტით გათვალისწინებული აქტივობების უფრო მეტი სიცხადისთვის, უკეთ გაცნობის მიზნით ინდივიდუალურად, ელექტრონული ფორმით მოგეწოდებათ, შესაძლებლობა გაქვთ წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ასეთის არსებობის შემთხვევაში, რათა საბოლოო ვერსია გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად, რასაც ერთობლივად დაეთანხმა საბჭო.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე დედის და ქალთა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ.

**აზრი გამოთქვა-** გენდერული საბჭოს საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ აღნიშნა, რომ „3 წლის წინ გენდერული საბჭოს ინიციატივით და ორგანიზებით 8 მარტს მოეწყო ღონისძიება, სადაც სხვადასხვა სფეროში წარმოჩენილი ქალბატონები და ყველაზე მრავალშვილიანი დედა მოვიწვიეთ და სიმბოლური საჩუქრები გადავეცით. კარგი იქნება თუ აღნიშნულ პოზიტიურ პრეცედენტს ტრადიციული ხასიათი ექნება და ყოველწლიურად დედის ან ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას კიდევ უფრო გავამრავალფეროვნებთ და ქალბატონების გამოვლენის პროცესში კონკრეტულ კრიტერიუმებს გამოვკვეთთ.

**აზრი გამოთქვა-** მოადგილემ-ნატული დვალიშვილმა აღნიშნა, რომ „უმჯობესია გამოვკვეთოდ ის ნომინაციები, რომლებიც ღვაწლმოსილ ქალბატონებს გამოავლენს სხვადასხვა სფეროებში, იგივე მოსაზრება გამოთქვა გენდერული საბჭოს წევრმა-თეონა ადეიშვილმა „მართებულია ისეთი ქალბატონების წარმოჩენა, რომლებიც ჩრდილში არიან და მათი დამსახურებიდან გამომდინარე ჩვენის მხრიდან ყურადღებას საჭიროებენ.

აზრი გამოთქვა-გენდერული საბჭოს წევრმა-დავით ხარძეიშვილმა „პანდემიიდან გამომდინარე მოგეხსენებათ შეზღუდულები ვართ ღონისძიებებით, თუმცა მოკრძალებულად შეგვიძლია ისეთი ფორმატის ღონისძიება ჩავატაროთ, სადაც ჩვენს მიერ შერჩეულ ქალბატონებს კიდევ უფრო ეფექტურად მივულოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს.

საბჭომ მოიწონა იდეა, თუმცა ნომინაციებთან დაკავშირებით ნაჩქარები გადაწყვეტილება არ მიიღეს და შეჯერდნენ, რომ კიდევ ერთხელ იმსჯელებდნენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე

-----

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე

-----

24.02.2022 წ.

